# რ ე კ ვ ი ზ ი ტ ე ბ ი:

| | |
|---|---|
| პრეტენდენტის იურიდიული ფორმა და დასახელება: | შპს "სტუდია არსი" |
| ხელმძღვანელის სახელი და გვარი: | მანანა თავხელიძე |
| პრეტენდენტის იურიდიული ან/და ფაქტიური მისამართი: | ქ. თბილისი,<br>თენგიზ აბულაძის №21 |
| საიდენტიფიკაციო კოდი: | 205210136 |
| პრეტენდენტის ტელეფონის ნომერი: | 2-25-81-02 |
| ელექტრონული მისამართი: | neli@studiaarci.ge |
| მომსახურე ბანკის დასახელება | თიბისი ბანკი |
| ბანკის კოდი: | TBCBGE22 |
| ანგარიშსწორების ანგარიში: | GE09TB0621836080100003 |

პრეტენდენტის ხელმოწერა ------------------------------

საქართველო, თბილისი, შპს "სტუდია არსი" • GEORGIA, TBILISI, "STUDIO ARCI" LTD • 205210136 • სტუდია არსი

საკონკურსო წინადადების ფასი (დღგ-ს ჩათვლით) ---- 46 000 ლ

საპროექტო - სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის წარდგენის ვადა: ხელშეკრულების დადებიდან 40 კალენდარული დღე.

# ზემო ფონიჭალაში მდებარე შინაგან საქმეთა სამინისტროს სპეციალური ოპერაციების ცენტრის ტერიტორიაზე არსებული დახურული საცურაო აუზის შენობის რეკონსტრუქციის ესკიზური პროექტი

ესკიზური პროექტი

| | |
|---|---|
| დამკვეთი | საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო |
| შემსრულებელი | შპს ::სტუდია არსი:: |
| დირექტორი | მანანა თავხელიძე |
| პროექტის ხელმძღვანელი | გია აბულაძე |
| არქიტექტორები | თამუნა ბაღდავაძე |
| | ირინა ბალავაძე |
| | ხათუნა ხაბულაშვილი |
| | გიორგი კილურაძე |

## შინაგან საქმეთა სამინისტროს სპეციალური ოპერაციების ცენტრის ტერიტორიაზე მდებარე საცურაო კომპლექსის რეკონსტრუქციის კონსტრუქციული გადაწყვეტილებები და მოსაზრებები

საცურაო კომპლექსის ორსართულიან აგურის შენობაში, გაბარიტული ზომებით გეგმაში 32X30 მ, რომელიც აშენებულია გასული საუკუნის 80-იან წლებში, მზიდი კედლები შესრულებულია წითელი და სილიკატური აგურის შერეული წყობით.

სართულშუა გადახურვებში გამოყენებულია ანაკრები რკინაბეტონის ღრუტანიანი ფილები, ხოლო აუზის სახურავი შესრულებულია წინასწარდაძაბული წიბოვანი ფილებით.

შენობის მეორე სართულზე, არსებული მზიდი აგურის კედლებიდან იზოლირებულად, განთავსებულია მონოლითური რკინაბეტონის კარკასულ-ჩარჩოვანი კონსტრუქციებით შესრულებული დიდი და მცირე ზომის საცურაო აუზები, შესაბამისად ზომებით: 25X8.5 მ და 8.4X5.8 მ.

შენობას აქვს რულონური მასალებით შესრულებული ბრტყელი სახურავი, რომელიც მთლიანად ამორტიზებულია, რის გამოც ატმოსფერული ნალექების ზემოქმედება იწვევს სახურავის რკინაბეტონის ფილების გაშიშვლებული მუშა არმატურის ღეროების კოროზიას და გარე კედლების ნალესის დაშლას.

ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ შესრულებული ექსპერტიზის დასკვნის მიხედვით საცურაო კომპლექსის მზიდი კონსტრუქციების ფიზიკური ცვეთა 40%-ის ფარგლებშია და მათი ტექნიკური მდგომარეობა შეფასებულია დამაკმაყოფილებლად.

ზემოთ აღნიშნულზე დაყრდნობით, საცურაო კომპლექსის რეკონსტრუქციის და კაპიტალური რემონტის პროექტი უნდა მოიცავდეს შენობის დაზიანებული მზიდი კონსტრუქციების გამაგრება-გაძლიერებას, ანტიკოროზიული ღონისძიებების მიღებას და აუცილებლობის შემთხვევაში, დაზიანებული მზიდი ელემენტების დემონტაჟს და მათ შეცვლას ახალი კონსტრუქციული ელემენტებით.

## ზემო ფონიჭალაში მდებარე შინაგან საქმეთა სამინისტროს სპეციალური ოპერაციების ცენტრის ტერიტორიაზე არსებული დახურული საცურაო აუზის შენობის რეკონსტრუქციის ესკიზური პროექტი

### განმარტებითი ბარათი

წარმოდგენილი პროექტი მდებარეობს ზემო ფონიჭალაში მდებარე შინაგან საქმეთა სამინისტროს სპეციალური ოპერაციების ცენტრის ტერიტორიაზე. იგეგმება ზემოთ აღნიშნული შენობის აღდგენა-რეკონსტრუქცია, რის შედეგადაც ვიღებთ მრავალფუნქციურ გამაჯანსაღებელ სპორტულ კომპლექსს, საცურაო აუზით.

მინიმალური კონსტრუქციული ჩარევით შევეცადეთ შეგვეცვალა ობიექტის ვიზუალური მხარე, შენობის სიმეტრია დაგვერღვია და დაგვეყო სხვადასხვა სიმაღლის ორ მოცულობად, რომლის მარჯვენა დაბალი ნაწილი წარმოადგენს შელესილ და შეღებილ კუბს, ხოლო მარჯვენა, მაღალი – პანელით (იტალიური წარმოების HPL Puricompact WR1EGR) მოპირკეთებულ მოცულობას.

გეგმაში არსებული მომრგვალებული კედლები მოპირკეთებით და ლესვით გასწორებულია მართი კუთხით. არსებული აივანი გაგანიერებულია და გადახურულია ხის პერგოლით. უკან (აუზის მხარეს) ფასადზე გამავალი კოლონები გარედან ასევე მოპირკეთებულია პანელებით. კოლონებს შორის განთავსებულ ვიტრაჟებში გათვალისწინებულია აუზის სივრცის ბუნებრივი განიავება.

შენობის წინ მდებარე ხის ჟალუზის ეფექტის მქონე კედელი წარმოადგენს ორი განსხვავებული სიმაღლის მოცულობის ვიზუალურად გამაერთიანებელ ელემენტს, რომელიც ასევე შესასვლელის მიმმართველსა და ლოგოს განსათავსებელ სიბრტყის ფუნქციას ასრულებს.

მთავარი შესასვლელიდან ვხვდებით ფოიეში, საიდანაც ვნაწილდებით შენობის მარჯვენა და მარცხენა ფლიგელებში, მარჯვენა ფლიგელში განთავსებულია ადმინისტრაცია (მენეჯერის ოთახი, სათათბირო, მომსახურე პერსონალის და სამედიცინო მომსახურების ოთახები) თავისი სველი წერტილებით, ინსტრუქტორის და სპორტული (სატრენაჟორო) ოთახები განაწილებულია შენობის მარცხენა ნაწილში. ამავე სართულზე ფოიედან ლითონის კიბით შეგვიძლია მოვხვდეთ მაგიდის ჩოგბურთის სათამაშო დარბაზში, რომელიც -1.65 დონით ქვემოთ მდებარეობს. შენობის უკანა ნაწილში განლაგებულია ასევე დამლაგებლის ოთახი და ფართი დამხმარე ინვენტარისთვის.

აუზი გასახდელებით, საშხაპეებით და სანკვანძეებით მდებარეობს შენობის მეორე სართულზე. აქვეა საჭიდაო, კრივის და სპორტული დარბაზები, სარეკრიაციო სივრცე, კაფე და აივანი.

შენობის სახურავის მარჯვენა მხარეს განთავსებულია სავენტილაციო დანადგარები, რომლებიც ემსახურებიან მთლიანი შენობის გათბობა-ვენტილაცია-კონდიცირებას. სახურავზე ვხვდებით მარჯვენა კიბის უჯრედით. დანადგარები დამალულია ამაღლებული პანელებით მოპირკეთებულ, ორ მეტრიანი კედლით.

შენობის გარეთ გათვალისწინებულია ცალკე მდგომი 50 მ2 ფართის ნაგებობა საქვაბისთვის.

| საპროექტო სამუშაოების განფასების ცხრილი | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| № | სამუშაოთა ჩამონათვალი | განზ. | მ2 | ღირებულება | ჯამი |
| 1 | არქიტექტურული მუშა პროექტი | მ2 | 2000 მ2 | 10 600 ლ | |
| 2 | კონსტრუქციული პროექტი | მ2 | 2000 მ2 | 4 000 ლ | |
| 3 | გეოლოგიური კვლევა (აუცილებლობის შემთხვევაში) | მ2 | | | |
| 4 | სანტექნიკური პროექტი | მ2 | 2000 მ2 | 2 000 ლ | |
| 5 | გათბობა-გაგრილების პროექტი | მ2 | 2000 მ2 | 3 000 ლ | |
| 6 | აუზის წყლის გათბობის და ფილტრაციის პროექტი | მ2 | 2000 მ2 | 1 700 ლ | |
| 7 | ვენტილაციის პროექტი პროექტი | მ2 | 2000 მ2 | 2 000 ლ | |
| 8 | ელ,ტექნიკური პროექტი | მ2 | 2000 მ2 | 2 200 ლ | |
| 9 | სუსტი დენების პროექტი:<br>ა) სახანძრო სიგნალიზაცია<br>ბ) სადამკვირვებლო კამერები<br>გ) სატელეფონო ქსელი<br>დ) სატელევიზიო ქსელი<br>ე) კომპიუტერული და ინტერნეტ ქსელი | მ2 | 2000 მ2 | 1 200 ლ | |
| 10 | მშენებლობის ორგანიზაციის პროექტი | მ2 | 2000 მ2 | 300 ლ | |
| 11 | მშენებლობის საორიენტაციო ხარჯთაღრიცხვა | მ2 | 2000 მ2 | 500 ლ | |
| | პირდაპირი დანახარჯი | | | 27 500 ლ | |
| | საშემოსავლო | | 20% | 6 875 ლ | |
| | ჯამი | | | 34 375 ლ | |
| | ზედნადები ხარჯი | | 5 % | 1 720 ლ | |
| | ჯამი | | | 36 095 ლ | |
| | გეგმიური დაგროვება | | 8 % | 2 888 ლ | |
| | ჯამი | | | 38 983 ლ | |
| | დ.ღ.გ. | | 18% | 7 017 ლ | |
| | ჯამი | | | 46 000 ლ | |

სტუდია არქი
205210136 GEORGIA. TBILISI. "STUDIO ARCH" LTD